

მუხლი 4. ცხოველთა კლასიფიკაცია

1. ცხოველთა სამართლებრივი სტატუსის, მათზე ზედამხედველობისა და მოვლა-პატრონობის განხორციელების მიზნისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) პატრონიანი;
- ბ) უმეთვალყურეო;
- გ) უპატრონო;

2. უმეთვალყურეო ცხოველს პატრონიანისა და უპატრონოს სტატუსი უდგინდება მისი ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანიდან 6 დღის ვადაში.

მუხლი 5. ცხოველის მოვლა-პატრონობა

1. ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს:

- ა) ცხოველის კვება;
- ბ) დარწყულება,
- გ) საძილე ადგილის განთავსება;

დ) მდედრი ცხოველის შეჯვარების შემთხვევაში ნაყარისა და ცხოველის სათანადო პირობების შექმნა;

2. დაუშვებელია ცხოველის უპატრონოდ მიტოვება; მისი მოვლა-შენახვის შეუძლებლობის შემთხვევაში ცხოველი უნდა ჩააბაროს ცხოველთა თავშესაფარში;

3. აკრძალულია ცხოველების ბრძოლების გამართვა;

4. აკრძალულია ცხოველების სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, კვების ობიექტებში შეყვანა;

5. მეპატრონე ვალდებულია არ დაუშვას საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურება, ხოლო დაბინძურების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მისი დასუფთავება.

6. ძალლების გასეირნება საზოგადოებრივ ადგილებში (ქუჩები, სტადიონები, სკვერები, პარკები, და სხვა საზოგადოებრივი ადგილები) ნებადართულია მხოლოდ საბმელით და ალიკაპით;

7. ცხოველის გვამის დამარხვა უნდა განხორციელდეს სპეციალურ გამოყოფილ ადგილებში;

8. ცხოველის მეპატრონემ უნდა უზრუნველყოს ცხოველის ყოველწლიური ვეტერინალურ-სანიტარული შემოწმება, ვაქცინაცია, მკურნალობა და სხვა.

9. მეპატრონემ ცხოველისათვის დაავადების კლინიკური ნიშნების შემჩნევის შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოს ვეტერინარს;

10. მეპატრონე ვალდებულია აანაზღაუროს მისი ცხოველის მიერ მიყენებული ზარალი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველთა პოპულაციების მართვისა და კონტროლზე უფლებამოსილი ორგანო

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველებისა და მათი პოპულაციების მართვისა და კონტროლის ორგანიზება განეკუთვნება მინიციპალიტეტის უფლებამოსილებას, რომლის განხორციელება მუნიციპალიტეტის გამგეობას შეუძლია გამგეობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ან კანონმდებლობით დადგენილი წესით საამისოდ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

2. უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) უპატრონო, უმეთვალყურეო ცხოველების დაჭერა, იზოლაცია და ზედამხედველობის განხორციელება;